# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 582

22 ნოემბერი
"___"_____ 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1"-ს (ს/ნ. 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი №4-ის მიმდებარედ, №01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1"-ის (ს/ნ. 425368149) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1"-ს (ს/ნ. 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრორაიონში, კორპუსი №4-ის მიმდებარედ, №01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1"-ის (ს/ნ. 425368149) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის

30 ოქტომბრის №24.1803.2033 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ინვესტ მშენ 1"-ს (ს/ნ. 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი №4-ის მიმდებარედ, №01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება") 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (399 000 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი)), შპს „ინვესტ მშენ 1"-ის (ს/ნ: 425368149) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე